„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...” ლადო ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივნისი. 2025 * (4)107

დანიშვნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით მიმდინარე წლის 6 მაისს სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებულად დაინიშნა ზაალ გელაშვილი.

ზაალ გელაშვილი დაიბადა 1969 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ წალვერში. წარჩინებით დაამთავრა იმავე სოფლის საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის სამართალმცოდნეობის მაგისტრი.

2003-2015 წლებში ადვოკატთა ასოციაციის წევრია; იყო კომპანია „მაგის“ დამფუძნებელ-პარტნიორი;

2016-2017 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის, ინსპექტირების და ფინანსური დარღვევების შემოწმების მთავარი სამმართველოს უფროსად;

2022-2025 წლებში ზაალ გელაშვილი მხარის რწმუნებულის თანამდებობაზე დანიშვნამდე იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

შეხვედრა რეგიონის მერებთან

ახლახან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **ზაალ გელაშვილმა** მუნიციპალიტეტის მერებთან განიხილა რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები.

სამუშაო შეხვედრაზე მუნიციპალიტეტებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმილ ვადებში შესრულების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

მერებთან თათბირზე სამცხე-ჯავახეთის სარაგბო კლუბის ხელმძღვანელმა **ირაკლი გვენეტაძემ** სახელმწიფო რწმუნებულს ჩატარებული სეზონის შემაჯამებელი პრეზენტაცია წარუდგინა და სამომავლო გეგმები გააცნო.

თავის მხრივ შეხვედრის მონაწილეებმა კლუბის განვითარების პერსპექტივებზე გაამახვილეს ყურადღება. „ტაო“ საქართველოში პირველი ინტერმუნიციპალური კლუბია, რომელიც რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის მიერ არის დაფუძნებული.

შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ რწმუნებულის მოადგილე **სერგო მუშკუდიანი**, რწუნებულის აპარატის უფროსი **გიორგი მიქელაძე**, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი **მარინა გაჩეჩილაძე** და ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურის უფროსი **გოჩა ბერიძე**.

17 მაისს საზეიმოდ აღინიშნა ოჯახის სიწმინდის დღე!

„პატიოსან კაცს სწამს ღმერთი, სწამს ტრადიცია, სწამს ოჯახი, სწამს მაგალითი თავის მამისა, სწამს ერთგულება!“ – ბრძანებდა დიდი ფრანგი მწერალი **ვიქტორ ჰიუგო**. ამ ჭეშმარიტებაზე ვინ ვართ ჩვენ, რომ საპირისპირო აზრი გამოვთქვათ! მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, დღეს ამ ჭეშმარიტ აზრს, ე.წ. ლიბერასტები, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, რევიზიას უტარებენ, ცვლიან ღვთისგან ბოძებულ ადამიანთა აზროვნებას.

განა მტკიცება უნდა იმას, რომ ოჯახის სიმტკიცეზეა დამოკიდებული ქვეყნის სიძლიერე?! ოჯახი ესაა ყველაზე წმინდა რამ, რაც ოდესმე ადამიანს შეუქმნია. ადამიანი ის ფენომენია, რომელიც ყველა სულდგმულისაგან განსხვავდება. პატიოსნება, სიყვარული, მოყვასის დაფასება, ქვეყნისათვის თავგანწირვა, მხოლოდ პატიოსან ოჯახურ გარემოში იბადება და იწრთობა! არც პატრიოტიზმი მოდის თავისით. იგი ჭეშმარიტ

ოჯახში ყალიბდება. ეროვნული სულის სიმტკიცეც ოჯახიდან მოდის! ნამდვილ ადამიანს ნებისმიერ მომენტში ძალუძს საკუთარი ოჯახისათვის, რწმენისათვის, სამშობლოსათვის თავგანწირვა. და თუ ეს დავკარგეთ, დავანგრიეთ, ოჯახისადმი სიყვარული გავაქარწყლეთ, ქვეყნის საქმეც უკუღმა დატრიალდება.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ 2014 წლიდან სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაარსდა და ტრადიციულად მთელი ქვეყნის მასშტაბით 17 მაისს აღინიშნება ოჯახის სიწმინდის დღე. წელს კი განსაკუთრებული ხალხმრავლობით გამოირჩეოდა ეს დღე როგორც ქვეყნის დედაქალაში, ასევე რეგიონებში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთში.

ამ დღეს ქალაქ ახალციხეში, რეგიონის მოსახლეობა დილიდანვე შეიკრიბა ამაღლების სახელობის ტაძართან, რის შემდეგაც მსვლელობა მოეწყო წმინდა შალვა ახალციხელის სახელობის საკათედრო ტაძრამდე, სადაც აღევლინა ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი.

დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ასპინძის მუნიციპალიტეტის გართობისა და დასვენების პარკში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს.

საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მოსახსენიებელი პანაშვიდი ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა მამა დავითმა აღავლინა.

ზუსტად 107 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

ამ დღესთან დაკავშირებით ასპინძის კულტურის ცენტრში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი გაიმართა.

აღნიშნულ ღონისძიებაზე მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები: ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრის თანამშრომლები, ფოლკლორული ანსამბლი ,,წუნდა" , ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ვარძია'' და ა(ა)იპ ვ. მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგები.

ღონისძიებას ორგანიზება გაუწია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა.

მუნიციპალიტეტის საჯიებულოში

ახლახან გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; გ. ჯვარიძე;

2. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების

დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 სექტემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს: ბ. ბერიძე; გ.ჯვარიძე;

3. „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;

4. „ასპინძის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 09 თებერვლის №გ-121. 121240402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ბესიკ ბერიძე.

მაკა ბერიძე

გრძელდება მეფე ერეკლე II-ის ქუჩის რეაბილიტაცია

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს სისტემატურად ვთავაზობთ ახალ-ახალ ინფორმაციებს იმის თაობაზე რაც სინამდვილეში ხდება მუიციპალიტეტის სინამდვილეში.

ყოველწლიურად, აგერ უკვე ათი წელია ვამბობთ, რომ დაბამ ფაქტიურად მთლიანად შეიცვალა იერსახე, კეთილმოეწყო ქუჩები, ტროტუარები, დასასვენებელი პარკები, ბავშვთა გასართობი ობიექტები, გარე განათება თუ სისუფთავის დაცვა მთავარ პრიორიტეტებად იქცა, რაც მოსახლეობის ფართო მასების კეთილგანწყობას ქმნის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ და, რა თქმა უნდა, სხვადასხვა საკითხების მოგვარების მიზნით მოსახლეობის ინტერესი ჩნდება, რომელთა მოგვარება კიდევ უფრო აუმჯობესებს მოსახლეობისათვის საჭირო სოციალური საკითხების გადაწყვეტასა თუ სხვადასხვა მიმართულებით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

აქვე მკითხველის ყურადღებას იმაზეც გადავიტანთ, რომ არის რიგი ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომელთა სრული რეაბილიტაცია ერთ კალენდარულ წელზე არაა გათვლილი – გარდამავალი ობიექტის რამდენიმე წლიან პროგრამას ითვლისწინებს.

ერთ-ერთი ასეთი პროექტია დაბაში ერეკლე მეორის ქუჩის რეაბილიტაცია, რომელიც ორი წლის წინ დაიწყო და მისი სრული რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. ამ ეტაპზე უკვე შესრულებულია მიწისქვეშა სამუშაოები, დამთავრდა გაზგაყვანილობის, სასმელი წყლის მილების ჩაწყობა, საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, დეკორატიული ღობეების მოწყობა, მშენებლობის პროცესშია ქუჩის ორივე მხარეს თანამედროვე სტანდარტების დონეზე ტროტუარები და ა.შ.

აღნიშნული სამუშაოების მაღალ ტექნიკურ დონეზე შესრულების მიზნით სისტემატური კონტროლი აქვს დაწესებული მერიის ზედამხდველობის სამსახურს, შესაბამის პასუხისმგებელ ოფიციალურ პირებს. აქვე უნდა ითქვას, რომ იგი მერიის სისტემატური ყურადღების ქვეშაა, რაც იმის გარანტიაა, რომ სამშენებლო-სამოტაჟო სამუშაოები მაღალ პროფესიულ დონეზე იქნება შესრულებული.

ახლახან ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ბერიძემ და მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა აღნიშნულ ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები კიდევ ერთხელ დაათვალიერეს.

როგორც ითქვა განსაზღვრულ ვადებში დაიწყება პროექტით გათვალისწინებული ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 641 310 ლარს.

მიმდინარეობს შიდა გზების კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ბოლო ათწლეულია ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლებისა და დასახლებული პუნქტების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამ კუთხით არც სოფელი რუსთავია გამონაკლისი, სადაც ბევრი საგულისხმო სამუშაო ჩატარდა და იგი ერთ-ერთ ლამაზ და მოვლილ სოფლად იქცა. სათანადი ყურადღება მიექცა სოფლის ქუჩების განათებას, დასუფთავებას, სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემების მოგვარებას. ახლახან კი დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს შიდა გზების რეაბილიტაცია

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო N2 '' , რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 790 000 ლარს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ასფალტო/ბეტონის საფარისა და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ანსამბლ „სამცხის“ აღიარება

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად ვაქვეყნებთ წერილებსა და ინფორმაციებს იმის თაობაზე, რომ მიზანმიმართული მუშაობის შედეგად წლიდან წლამდე მუნიციპალიტეტის სინამდვილეში მნიშვნელოვნად უმჯობესდება კულტურის სფეროს მუშაობა. ამ ხანებში კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტი დაფიქსირდა, რაც ამ სფეროს მესვეურთა დაუღალავი შრომის შედეგია. ფაქტია, რომ დადებითი შედეგები განსაზღვრავს დარგის წარმატებებს.

ამ დღეებში კიდევ ერთი სასიხარული ამბის მომსწრენი გავხდით:

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით თბილისის არტ-ჰოლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი „მომავალი ჩვენია!“

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 25-მა ანსამბლმა. მათ შორის – ასპინძის მუნიციპალიტეტის სახეს წარმოადგენდა ანსამბლი „სამცხე“, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და პირველი ადგილი დამსახურებულად მიიღო, ასევე ანსამბლის ხელმძღვანელს ჯაბა ასპანიძეს მიენიჭა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

თითოეული ასპინძელისთვის ეს ფრიად სასიხარულო ფაქტია. აღნიშნული ანსამბლი რომ ხშირად აღწევს რესპუბლიკურ ფესტივალებში დიდ წარმატებებს, არახალია, მაგრამ მათი საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის და გამარჯვების მომსწრენიც არაერთხელ გავმხდარვართ. ეს კი მუნიციპალიტეტის მერიის და შესაბამისი სამსახურების დიდი მხარდაჭერის შედეგით არის განპირობებული და იმედია ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო გაიზრდება და ანსამბლი „სამცხე“ მომავალშიც კვლავაც ბევრჯერ გაახარებს გულშემატკივრებს.

საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე აღნიშნული პრემია ანსამბლის ხელმძღვანელს ჯაბა ასპანიძეს საზეიმო ვითარებაში გადასცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს დამსახურებულმა ქორეოგრაფმა, ქორეოლოგმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ლაუზ (რეზო) ჯანიშვილმა და ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ერეკლე საღლიანმა.

ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა რეკომენდაცია მისცა ქორეოგრაფიული ანსამბლ „სამცხეს“ მიმდინარე წლის ზაფხულში მონაწილეობა მიიღოს თურქეთის რესპუბლიკის საკურორტო ქალაქ ბოდრუმში ფოლკლორის საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდულ ფესტივალში.

შოთა ლომსაძის საიუბილეო საღამო

2006 წელს გამომცემლობა „საარმა“ დასტამბა დიდი ქართველი ისტორიკოსის შოთა ლომსაძისადმი მიძღვნილი შესანიშნავი კრებული „შოთა ლომსაძე – სამცხე-ჯავახეთის მემატიანე“, რომლის შემდგენელ-გამომცებელი იყო შოთა ლომსაძის მეუღლე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლეილა ბურჯანაძე. კრებულში სხვა მრავალ საინტერესო მასალასთან ერთად შესულია ცნობილ ქართველ მწერალთა და მეცნიერთა წერილები მიძღვნილი ბატონ შოთასადმი, რომლებიც ჭეშმარიტ შეფასებას აძლევენ მის როგორც პიროვნულ თვისებებს, ასევე განუსაზღვრელ როლს ქართულ ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით მის ღვაწლს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის შესწავლაში. შოთა ლომსაძის ფუნდამენტური ნაშრომი „სამცხე-ჯავახეთი“ ხომ შეუფასებელია და რეალურ სურათს იძლევა ზოგადად მესხეთის ტრაგიკულ ისტორიაზე. მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით შეძლო შოთა ლომსაძემ ობიექტურად აესახა თურქთა და ცარისტული რუსეთის ბატონობის ხანაში მესხეთში არსებული მოვლენები.

ახლახან შოთა ლომსაძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. ამ დღის აღსანიშნავად, „საბიბლიოთეკო კვირეულის“ ფარგლებში, ასპინძის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის ინიციატივით, სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა საიუბილეო საღამო, სადაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს შოთა ლომსაძე – როგორც პოეტი. ლიტერატურულ კომპოზიციაში მონაწილეობდნენ ასპინძის საჯარო სკოლის VI-X კლასის მოსწავლე-ახალგაზრდები და სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდი. მათ მიერ წაკითხული იქნა პოეტის მიერ ძირითადად მესხეთის თემატიკაზე შექმნილი ლექსები და ქართველ კომპოზიტორთა პატრიოტულ თემატიკაზე შექმნილი სიმღერები. აღინიშნა ისიც, რომ შოთა ლომსაძე ერთ-ერთი პირველი პოეტია სამცხე-ჯავახეთიდან, რომელმაც მხარეში საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ პოეზიას.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ბერიძე, სოფელ საროს საჯარო სკოლის დირექტორი მაია ბოლოთაშვილი და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი ავთანდილ ბერიძე.

ღონისძიებას უძღვებოდა საიუბილეო საღამოს ორგანიზატორი, ამავე ბიბლოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარი ნუნუ ბუჩუკური.

მანანა ზედგინიძე

თოჯელი ზარიძეების გვარის ისტორია

დასაწყ. წინა ნომერში

ზარიძეები ბეგებთან კარგად იყვნენ, სოფელში ცხვარი შუადღით მოჰყავდათ დასაწველად, ბეგები ქარაფის თავზე იჯდნენ და ქვაზე გაკეთებულ მაგიდაზე ნარდს თამაშობდნენ, როცა დაინახავდნენ ცხვრის ფარას, ფეხზე წამოდგებოდნენ – სერგოი მოდისო, ცხვარი რომ გაივლიდა, მერე დაჯდებოდნენ და ნარდის თამაშს გააგრძელებდნენ.

ერთხელ ბეგების ბავშვებმა ცემეს ზარიძეების ბავშვები. ზარიძეების რძალი მიეჭრა ბეგებს სახლში და ერთი ამბავი დააწია. ბეგებმა თავიანთი ბავშვები ზარიძეების ბავშვებს მოანათლინეს და დამეგობრდნენ ოჯახებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდი ხნის მშვიდობის გამო სოფელ თოკის მოსახლეობა ძალიან გამრავლებულა. ვინაიდან ზარიძეები ძალიან მცირე ფართობის მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ, ამის გამო გიორგი (წიწილა) მათეს ძე ზარიძემ წაიყვანა თავისი ძმის შვილი შაქრო დიმიტრის ძე ზარიძე და დამკვიდრდა არტაანის მხარეში, ერთ ერთ-სოფელში, სადაც დამკვიდრდნენ და თავიანთი შრომითა და გარჯით კარგი მეურნეობა შექმნეს.

ამასობაში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. 1914 წელს სოფლიდან ომში გაიწვიეს მხოლოდ ქართველები, მეფის რუსეთის ხელისუფლება თურქებს, ქურთებს და გათათრებულ ქართველებს არ ენდობოდნენ, ამიტომ ომში არ გაუწვევიათ, ომში თავიანთი თხოვნით და ნებით მხოლოთ გათათრებული ბეგების შვილები წავიდნენ, თოკიდან – აბაშიძეები, გოკიოდან – ღვინიაშვილები, ახალქალაქიდან – ფალავანდიშვილები, ხერთვისიდან – ვაჩნაძეები და აშ. როგორც ვთქვით, მესხეთ-ჯავახეთიდან ომში გაიწვიეს მხოლოდ ქრისტიანი ქართველები და სომხები, 18 წლის ასაკიდან 45 წლის ასაკის ჩათვლით, გაწვეულები ძირითადად სარიყამიშის ფრონტზე იბრძოდნენ და მიიღეს სრული სამხედრო სამწყობრო განათლება და ჩამოყალიბდნენ კარგ მეომრებად. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ფრონტები მოიშალა და ქართველი ჯარისკაცები დეკემბრის თვეშივე თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ შაშხანებით, თოფებით და დიდძალი საბრძოლო მასალით, ასევე რუსეთში ბრუნდებოდა რუსი ჯარისკაცები და ოფიცრობა, საქართველო და კავკასია გაიარა დაახლოებით ერთ მილიონმა რუსმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა, ისინი იარაღს ცვლიდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში საჭმელში და ტანსაცმელში, რის გამოც კბილებამდე შეიარაღდა ტაო-კლარჯეთის, შავშეთის, არტაანის, სამცხე-ჯავახეთის გათათრებული ქართველი მოსახლეობა, ამასობაში თურქეთის ხელისუფლება ადგილობრივ ბეგებს უგზავნიდა არაბულ ენაზე შედგენილ საიდუმლო წერილებს. ერთი ასეთი წერილი თოკის ბეგებთანაც მოვიდა, რომელიც შემთხვევით ხელში ჩაუვარდა თოკელ გაბრიელ ლეკიშვილს, წერილი ისევ თოკის ბეგს წააკითხეს. ამ წერილით თურქეთის ხელისუფლება იუწყებოდა, რომ გაზაფხულისათვის თურქული არმია დაიკავებდა საქართველოს და მთლიანად კავკასიას, ბეგებს ავალებდა, რომ შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და არ დაპირისპირებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას.

გიორგი ზარიძე წლების განმავლობაში მუშაობდა სოფელ ვარგავის სასოფლო საბჭოს მდივნად, მას ურთიერთობები ჰქონდა სოფელ ხიზაბავრის, საროს, ზველ-ჭობარეთის სასოფლო საბჭოების მმართველებთან, რომლებიც უშუალოდ იყვნენ შემსწრეები იმ ავბედით წლებს და მათგანაც ასევე გაგებული ჰქონდა იმ პერიოდში, როგორ სწრაფად და ავბედითად ვითარდებოდა მოვლენები. გიორგი ზარიძის განმარტებით, მესხეთის ბეგებმა ყურად არ იღეს თურქეთის ხელისუფლების მითითება და დაიწყეს ბრძოლებისათვის მომზადება, რათა თურქეთის ჯარის შემოსვლამდე მოეხერხებინათ ახალციხესა და ახალქალაქში მდგარი ახალადჩამოყალიბებული ქართული ჯარის გაძევება მესხეთიდან და ახალციხის დაკავება. მათ პარალელურად დაიწყეს დაუცველი ქართული სოფლების მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვა. ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მთავრობა უძლური აღმოჩნდა წინააღმდეგობა გაეწიათ გათათრებული ქართველების ბანდებისათვის. თათრების ბრბოს სათავეში ჩაუდგა გათათრებული ქართველი ჯაყელი. შესაბამისად ტაო-კლარჯეთის, შავშეთის, არტაანის და ნიალისყურის გათათრებული ქართველების, ქურთების და თარაქმების შეიარაღებული რაზმები ნელ-ნელა შემოდიოდნენ ვარძიის გზით და სოფელ ხერთვისში გროვდებოდნენ. გზაში ყველას და ყველაფერს ძარცვავდნენ, ქრისტიანებს განურჩევლად ხოცავდნენ. ასევე ხერთვისში მოვიდნენ ფოცხოვისა და ქვაბლიანის ხეობების, აბასთუმნის, ახალციხის თათართა, ასევე მთიანი აჭარიდან წამოსული რაზმები. ფოცხოველი გათათრებული ქართველები ყველასგან განირჩეოდნენ, მათ შავი ფერის თხის ტყავისაგან გაკეთებული გუდები ჰქონდათ ზურგზე მოკიდებული და ამ გუდებში ათავსებდნენ ნაძარცვ ფულს, სამკაულებს და მოტაცებულ ქართველ პატარა ბავშვებს. ბავშვები რად უნდოდათ, არ ვიცით, ვინაიდან აშკარა იყო, რომ თათრები ემზადებოდნენ ომისთვის. სოფლების – საროსა და ხიზაბავრის მოსახლეობამაც დაიწყო თავდაცვისათვის მომზადება. საროს მღვდელმა ვლადიმერ ვახტანგის ძე თუთბერიძემ, რომელიც საროში მანამდე მღვდლად მოვიდა შორაპნის მაზრის სოფელ ფუთიდან და ხიზაბავრელმა ალექსანდრე სიმონის ძე ხუციშვილმა ბაკურიანიდან გადმოიტანეს 600 შაშხანა, 4 დაზგის ტყვიამფრქვევის მაქსიმკა, ერთი ზარბაზანი და დიდძალი ტყვია-წამალი, ხიზაბავრაში შეიქმნა რაზმი, რომელიც 400 კაცზე მეტს ითვლიდა, რომელთა საერთო ხელმძღვანელი იყო ეფრემ ველიჯანაშვილი, საროს რაზმი ითვლიდა დაახლოებით 70 კაცს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მღვდელი ვლადიმერ თუთბერიძე, შესაბამისად ქართველები გაფაციცებით აკვირდებოდნენ სერვერ ბეგის რაზმების თავმოყრას, თვითონ სერვერ ბეგი, რომელსაც უკვე აეღო ახალციხე და იქიდან გაეყარა ქართველი მენშევიკების ჯარი, შემოიარა ურავლის ხეობა და ზველ-ჭობარეთის გზით გადმოვიდა და დადგა ასპინძაში, შეიარაღებული ბრბო, რაოდენობით 700 კაცი, როგორც ინფორმაცია იყო, უნდა შესეოდნენ ახალქალაქის რაიონის სომხურ სოფლებს და პირწმინდათ უნდა გაეძარცვათ და სომეხი ეროვნების მოსახლეობა დაეხოცათ, თოკის ბეგები, აბაშიძეები სოფლიდან გავიდნენ და სადღაც გადაიკარგნენ, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ეს თათრების მრავალათასიანი ბრბო ახალქალაქისკენ წასულიყო, სხვადასხვა მიზეზებით შეტრიალდა და განლაგდა სანიორას თავზე, სადაც ერთ ღამეში გააკეთეს ქვის დიდი კედელი და სანგრები, პარალელურად ემზადებოდნენ სოფელ საროს დასაკავებლად, რაც ქართველებს არ გამოჰპარვიათ მხედველობიდან. სარველებმა ბაკურიანიდან გადმოიყვანეს ერთი კახელი პოლკოვნიკი. რამდენიმე ქართველ ჯარისკაცთან ერთად, იმ ღამეს საროში დასახმარებლად შემოვიდა 125 შეიარაღებული კაცი ახალქალაქის რაიონის სოფელ ვარევნიდან (ქართველები და სომხები). განთიადისას თათრებმა საროზე იერიში მიიტანეს, მათმა ერთმა რაზმმა სოფელ წერაკუნტადან თოკისკენ დაიწყო წამოსვლა და ეს ამბავი სოფელმაც შეიტყო. გაქცევას ველარ ასწრებდნენ. იმისათვის, რომ თათარი შეეკავებინათ და სოფელი გაქცეულიყო ბაკურიანისკენ, სერგო ზარიძემ სახლიდან გამოიტანა თავისი მაუზერი და კარაბინა, მას ასევე მაუზერით და კარაბინით წაჰყვა გაბრიელ ლეკიშვილი და ჩასაფრდნენ წერაკუნტის კლდეებში, იქ სადაც თათრების რაზმს უნდა გამოევლო. თათართა რაზმი მათი სიმრავლისა და გზის სივიწროვის გამო ორად გაიყო, ერთმა შტომ კლდეს შემოუარა, ნისლს აჰყვა და ბილიკით ავიდა მაღლა, ხოლო მეორე შტო მოვიდა პირდაპირ სერგოსა და გაბრიელის წინ, ამათმაც დაიწყეს სროლა, თათრებმა წესიერადაც არ იცოდნენ იარაღის ხმარება და არც გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაახლოებით 30 თათარი, ადგილზე იქნა მოკლული. თათრები დაფრთხნენ, აირივნენ და უკან გაიქცნენ. მოხდა ჭყლეტვა და იქაც ბევრი დაზიანდა, მეორე შტო, რომელიც თითქმის კლდემდე იყო ასული, გაიგონეს რა სროლის ხმა, დაბლა ჩაიხედეს და დაინახეს, რომ მხოლოდ ორი კაცი ისროდა. ამათმაც არ დააყოვნეს და ზემოდან დაუწყეს სროლა და გაბრიელ ლეკიშვილი მოკლეს, ხოლო სერგო – დაჭრეს. სერგომ კლდეში არსებულ პატარა გამოქვაბულს შეაფარა თავი და ისე ესროდა მაღლა მყოფ თათრებს, ბოლოს ტყვიაწამალი გამოელია და თათრები რომ მიხვდნენ ტყვია-წამალი გამოელია, ჩავიდნენ და ხანჯლით მოკლეს სერგოი, მერე როცა ნახეს ქართველებმა სერგოს ხელები დაჭრილი ჰქონდა, ეტყობა ხანჯალი ხელებით დაუჭირა (ამ დროს გიორგი ზარიძე თან ჰყვება ამ ამბავს და თან ტირის). სერგოს ძმა მაკარ ზარიძე იმ დროს იმყოფებოდა სოფელ კოთელიაში და როცა ამ სოფელში ამბავი მოვიდა, რომ ქართველები იკრიბებიან საროს და ხიზაბავრის დასაცავად, ამან იფიქრა, ჩემი ძმა თავქარიანი, არ გაჩერდება და იქ წავაო. სასწრაფოდ წამოვიდა ცხენით კოთელიიდან, დიდი სისწრაფით ჭენების გამო ცხენი გზაში სოფელ ვარევანთან ხევში გაუსკდა და რაღას იზამდა, სირბილით გაიქცა სოფლისკენ. რომ გაიგო თავის ძმა წერაკუნტაში იყო წასული, ახლა გეზი იქითკენ აიღო, სადაც კლდის თავზე, უკვე ქართველები მოგროვილიყო. მაკარ პაპას უნდოდა ჩასვლა, მაგრამ არ გაუშვეს.

ამ დროს ვარევნიდან მოსულა მენშევიკების მცირე რაზმი, რომელსაც შეუერთდა ჯავახეთის ქართული სოფლებიდან წამოსული ჯარი. ეს ძალა მიაწვა თათრებს, რომლებიც ფაქტიურად ზურგში იყვნენ მოქცეულები და თათარი დასწიეს დაბლა. მეორე მხრიდან წამოვიდა სარო-ხიზაბავრის რაზმები, მაგრამ თათრის დიდძალ ჯარს ვერგაუმკლავდნენ. საბოლოოდ ამ ომს წერტილი დაუსვა ჩუნჩხის ჯარმა, რომელმაც მდინარის მეორე მხრიდან, ზურგიდან დაუწყეს სროლა თათრებს და ამის შემდეგ მთლად აირია მათი ჯარი და სერვერ ბეგიც დაამარცხეს. გაქცეულებმა ჯერ ხერთვისს შეაფარა თავის, რომელსაც ხიზაბავრის ჯარი გაუჩერებლად ზარბაზანიდან ესროდა, მოულოდნელად ზარბაზანი გასკდა სიმხურვალისგან და ორი ხიზაბავრელი იმსხვერპლა. ამ ბრძოლაში თავი განსაკუთრებით გამოუჩენია საროს მღვდელს ვლადიმერ თუთბერიძეს, რომელიც მაქსიმკით პირდაპირ ჩამხტარა თათრების სანგარში, კახელი პოლკოვნიკი, რომელიც სანგრებზე მიტანილი იერიშის დროს მძიმედ დაჭრილა, გადაიყვანეს ბაკურიანის საავადმყოფოში, მაგრამ ვარგავის გზაზე გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ. ხიზაბავრელებს, ეფრემ ველიჯანაშვილს და სარველ ბერიკაცებს, რომელთა რაოდენობა ყოფილა ოც კაცამდე, ბერდენკის თოფებით შეიარაღებულებს, უშუალოდ საროსთან, ხევში, უამრავი თათარი დაუხოციათ, – თათრებმა დახოცილების სახით დაკარგეს 2500 კაცი, ასევე ხიზაბავრელებს ტყვედ ჩაბარდა დაახლოებით 800 თათარი. ბოლოს სროლა ნელ-ნელა შემწყდარა, გადარჩენილი თათრების ნაწილებმა ხერთვისისკენ დაიხიეს, შემდეგ ჩავიდნენ თოკელები, ნახეს რომ ორივე – სერგო ზარიძე და გაბრიელ ლეკიშვილი გარდაცვლილები იყვნენ, ამოიყვანეს და სოფელ თოკის ეკლესიის ეზოში ორივე ერთად დაკრძალეს, ამის შემდეგ მენშევიკების ჯარის მეთაურს მაკარ პაპასთვის უთქვამს, რომ ჩვენმა მთავრობამ (იგულისხმება ნოე ჟორდანიას მთავრობა) თურქეთთან გააფორმა შეთანხმება და მესხეთ-ჯავახეთი თურქეთს გადაეცა, დღე-დღეზე თურქეთის ჯარი შემოვაო. ჩვენ ნაბრძანები გვაქვს, რომ დაგვეტოვებინა ახალქალაქი და გადავსულიყავით ბაკურიანში. ვარევანთან შეგვატყობინეს, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა, ამიტომაც მოვედით, ჩვენ აქ გაჩერების უფლება არ გვაქვს და დღეს უკვე გადავალთ ბაკურიანში, ამიტომ თქვენ თავს თქვენ უნდა უპატრონოთო. ვინაიდან თათრებს ახალი ძალები ემატებოდა, ამას დაერთო მენშევიკების ჯარის გასვლა, ქართველები დაპანიკდნენ, ქართული სოფლები დაიცალა მოსახლეობისაგან, დაიწყო გაქცევები, ყველა ბაკურიანის ტყეებში გაიხიზნა. გზად მიმავალ ზარიძეებს ბაკურიანში გადასასვლელ მთებზე დახვდათ ყაბალახში

დასასრული მე–4 გვ.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

დალი მაზმიშვილი

ტყის ზღაპარი

ტყეო, ტყეო, ლამაზო ,
გაზაფხული გვეწვია,
ჭიკჭიკის ხმაც გაისმის,
გალობს ჩიტი მზეწვია.

გაიხსნება ცის თაღი
თბილი იის ღეროდან,
ყველა ერთად ხალისით
იის მოსვლას ელოდა!

ფუღუროში ვერ ნახავთ
ჩათბუნებულ ციყვუნებს,
ცა ლურჯთვალა, კრიალა,
მზის თვალებით გვიყურებს!

წეროებიც მობრძანდნენ,
გრძელკისერა გუნდებით,
ჩვენც გვიყვარსო ტყის სახლი,
ამიტომაც ვბრუნდებით!

წრუწუნებსაც სულ უკვირთ,
ნეტავ ასე რად ხდება,
ამდენ მხეცსა და ფრინველს
ერთად ყოფნა უნდებათ!

თავისთვის ზის ბულბული,
ჰანგის მასწავლებელი,
ამბობს: არვინ არ არის
ჩვენი ხელის მხლებელი!

ზღარბი შვილებს არიგებს,
ღმერთმა ცუდი გაცილოთ,
თავმომწონედ დავდივარ,
სადმე არ შემარცხვინოთ!

ყველა ერთურთს ვუღიმით,
ტკბილ სალამსაც ვთავაზობთ,
ტყემ რომ სულ იშრიალოს,
ტყე რომ გავალამაზოთ!

აბა დელი, დელია,
ტყის ზღაპარი ჩვენია,
ბუდე, ხავსი, ფუღურო,
მოუთმენლად გველიან!

ჩიტუნების სამოსახლო

იფნის ხეზე ჩიტბატონას
მთელი ოჯახები სახლობს,
მხიარული ჟივჟივია
აქვე, ბაღის ახლომახლოს!

დედა ჩიტი ფრთაჭრელ ბარტყებს,
გადმოუღებს ლამაზ ანბანს,
ფრთებით ბგერებს მზის სხივებზე
მარცვალ-მარცვალ ჩამოაბამს!

კითხულობენ, ჭიკჭიკებენ,
სიხარული უნდა ნახოთ...
და დღითიდღე ენას იდგამს
ჩიტუნების სამოსახლო!

დედა მზე

დედა მზე რომ გაიღვიძებს,
ციდან სხივებს გზავნის ამ დროს,
დღე ბრწყინვაში აღამდება,
სანამ მოვლენ, მათზე დარდობს.

ცის ბროლი რომ ქრება თითქმის,
მზის სხივებმა რაღა ქარგონ?!
სათითაოდ სხივებს ითვლის,
სადმე არსად დამეკარგონ.

სპორტი

შიდა სასკოლო პირველობა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ შიდა სასკოლო და სასკოლათაშორისო სპორტულ ღონისძიებებს ასპინძის მუნიციპალიტეტი შეუერთდა.

„საქართველოს თავისუფლების თამაშების“ ფარგლებში ასპინძის საჯარო სკოლის დარბაზში 3X3 კალათბურთის თამაშები ჩატარდა.

თამაშებში ასპინძის მუნიციპალიტეტის 4 საჯარო – ასპინძის, ოშორის, ტოლოშისა და ნაქალაქევის სკოლების ვაჟებისა და გოგონების გუნდები მონაწილეობდენ.

ვაჟთა შორის პირველ საპრიზო ადგილზე ტოლოშის საჯარო სკოლა გავიდა, მეორეზე – ასპინძის, ხოლო მესამე ადგილზე – ნაქალაქევის საჯარო სკოლა.

გოგონათა შორის პირველი ადგილი ტოლოშის საჯარო სკოლამ მოიპოვა, ხოლო მეორე ადგილზე ნაქალაქევის სკოლა გავიდა.

გამარჯვებულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურმა მედლები და სიგელები გადასცა.

დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მიძღვნილ შიდა სასკოლო და სასკოლათაშორისი სპორტულ ღონისძიებებს ასპინძის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა.

„საქართველოს თავისუფლების თამაშები“-ის ფარგლებში სპორტულ სახეობა მძლეოსნობაში – (100 მეტრ რბოლაში) გაიმართა ასპინძის ცენტრალურ სტადიონზე.

თამაშებში მონაწილეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტის 11 საჯარო სკოლა, კერძოდ – ასპინძის, ჭობარეთის, ნიჯგორის, იდუმალის, ხერთვისის, ხიზაბავრის, ნაქალაქევის, საროს, ოშორის, ტოლოშის და ოთის ვაჟთა და გოგონათა გუნდები.

აღნიშნულ შეჯიბრებაში გამოვლინდა გამარჯვებული გუნდები:

ვაჟებში:
I საპრიზო ადგილი დაიკავა ოთის საჯარო სკოლამ;
II ადგილი – ხიზაბავრის საჯარო სკოლამ;
III ადგილი – ოშორის საჯარო სკოლამ.

გოგონებში:
I ადგილი – ტოლოშის საჯარო სკოლამ;
II ადგილი – ხიზაბავრის საჯარო სკოლამ;
III ადგილი – ოთის საჯარო სკოლამ.

გამარჯვებულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის მიერ მედლები და სიგელები გადაეცათ.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები, სადაც მოსახლეობა შემცირდა

	1990 წ.	2024 წ.
მალტა	0,3	0,5
ლუქსემბურგი	0,4	0,6
კვიპროსი	0,8	1,4
ესტონეთი	**1,5**	**1,3**
ლატვია	**2,6**	**1,8**
ლიეტუვა	**3,6**	**2,8**
ხორვატია	**4,7**	**3,8**
ირლანდია	3,5	5,2
სლოვაკეთი	5,2	5,4
ფინეთი	4,9	5,6
დანია	5,1	5,9
ბულგარეთი	**8,7**	**6,6**
ავსტრია	7, 6	9,1
უნგრეთი	**10,3**	**9,6**
საბერძნეთი	**10,2**	**10,0**
პორტუგალია	9,9	10,4
ჩეხეთი	10,3	10,8
ბელგია	9,9	11,7
ნიდერლანდები	14,9	17,8
რუმინეთი	**23, 2**	**19,4**
პოლონეთი	**38,1**	**37, 4**
ესპანეთი	38, 0	47,9
იტალია	56, 7	59,2
საფრანგეთი	58, 2	68,4
გერმანია	79, 4	83,2

თოჯელი ზახიძეების გვარის ისტორია

დასაწყისი გვ.3

გახვეული ბავშვი, რომელიც ტიროდა, სერგოს ძმამ იცნო ყაბალახი და თქვა, რომ ეს ჩუნჩხელი სესაძის შვილიაო. აიყვანეს ბავშვი და თან წაიყვანეს, ტყეში ნახეს ჩუნჩხელები და ბავშვი თავის პატრონს ჩააბარეს. ეს ბავშვი გაიზარდა და სიბერეში გარდაიცვალა, მას სიკვდილამდე ჩუნჩხელები ზედმეტ სახელს „გადაგდებულს“ ეძახდნენ. სოფლიდან მარტო ლეკიშვილები არ გაქცეულან და ჩაიკეტნენ თავიანთ სახლებში. მოადგნენ თათრები მათ სახლის კარებს და დაუწყეს დამტვრევა. რადგან კარები შიგნიდან იყო ჩაკეტილი, ლეკიშვილებმა შიგნიდან ისროლეს, ერთი თათარი კარებში ადგილზე მოკვდა, ერთი დაიჭრა. თათრებმა ერთი მოხუცი – 80 წლის ევგენ თამარაძე ნახეს და უთხრეს, რომ ლეკიშვილები დაეყოლიებინათ, კარები გაუღე არაფერს დაგიშავებენო, ხელით კი ჩუმად ანიშნებდა, არ გაუღოთო. ეს ამბავი შეამჩნიეს თათრებმა, ჩამოიყვანეს ევგენაი ერდოდან, სულ მთლად გააშიშვლეს, მოკლეს და მერე ქარაფიდან გადააგდეს. ლეკიშვილებმა ღამით სახლის კედელი გამოთხარეს, გამოვიდნენ და იმ ღამეს გადავიდნენ ბაკურიანში. სანამ ჩვენი ხალხი წასული იყო, თოკის ბეგები დაბრუნებულან სოფელში, ეკლესიის ეზოში უნახიათ ორი ახალი საფლავი და დაინტერესებულან, ვისი არისო. ვინაიდან არავინ არ იცოდა ვისი საფლავები იყო, ბეგებმა ამოათხრევინეს საფლავები და როცა დაინახეს რომ გაბრიელაი და სერგოი იყვნენ, სინანულით უთქვიათ – რა ვაჟკაცები დაუხოციათო. ჰაშიმ-ბეგს უთქვია, ეს სერგოი მაინც არ მოეკლათო. მერე ბეგებმა უბრძანეს ორ თათარს, რომ ისევ დამარხეთო და თითონ თავიანთ სახლებში წავიდნენ, ამ ორი თათარიდან ერთმა სერგო პაპას გახადა ჭრელი წინდები და თითონ ჩაიცვა, ამას რაღაში დასჭირდებაო და ისევ დამარხეს ორივე, მეორე თათარმა იფიქრა, ამ ცოდვას მე ვერ გაუძლებო, წავიდა და ბეგებს უთხრა ეს ამბავი. ბეგებმა ისევ წაიყვანეს ორივე თათარი და უბრძანეს ამოთხარეთ მარტო სერგოს საფლავიო. თათარი გაჯიუტდა, არ ამოვთხრიო, მაგრამ ამოათხრევინეს. ბეგებმა უთხრეს, სერგოს წინდები ეცვა, რატომ არ აცვიაო, თათარმა უთხრა ამას მაინც აღარ დასჭირდება, მე ფეხებზე მცივა გავხადე და ჩავიცვიო, ბეგებმა უთხრეს, სერგოი რომ ცოცხალი ყოფილიყო, გაუბედავდი წინდების გახდასო, თათარმა – ვერაო, ჰოდა ჩათვალე რომ მე ვარ სერგოი და ეხლა გაიხადე, ჩააცვი და ისე დამარხეო. თათარსაც რა უნდა ექნა, გაიხადა წინდები, ჩააცვა სერგოს და ისევ დამარხა.

მთქმელი გიორგი ზარიძე, 78 წლის (ეს ამბავი მოუსმენია მამის იასონ ზარიძისაგან); აღნიშნულ ისტორიას გარკვეული ფაქტები დაუმატა ზვიად ზარიძემ, რომელსაც მოსმენილი აქვს მამისაგან – შალვა ზარიძისაგან; ასევე მცირედი ნაწილი დაამატა ზურაბ თამარაძემ.

ჩაიწერა გიორგი ჯვარიძემ 2025 წელს, სოფელ თოკში

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია